ხაშურის მოამბე

9 (90) 6 მარტი, ორშაბათი, 2017 წელი

8 მარტს გილოცავთ, ძვირფასო ქალბატონებო!

ძვირფასო ქალბატონებო,

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო გულწრფელად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს!

თითოეულ თქვენგანს უმნიშვნელოვანესი მისია აქვს ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების საქმეში.

ქალს საქართველოში ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ეჭირა როგორც ოჯახში, ისე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში.

გისურვებთ წინსვლას, ბედნიერებას და ულევ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დაათვალიერეს სპორტკომპლექსის მშენებლობა

1 მარტს, ხაშურში, სპორტკომპლექსის მშენებლობის სამუშაოების დასათვალიერებლად საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე იმყოფებოდა. სპორტული კომპლექსის სამ-

შენებლო სამუშაოებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი კახა სამხარაძე და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც გაეცნენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, სტუმრებს მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერებინა და სამომავლო გეგმებიც გააცნო.

აღნიშნული პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს და ჯამში 2 292455 ლარს ითვლის.

სპორტკომპლექსის მშენებლობა შემოდგომაზე დასრულდება.

- უკრაინის ელჩი სურამში -

აღინიშნა ლესია უკრაინკას დაბადების 146-ე წლისთავი

სურამში ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას დაბადებიდან 146 წლისთავი აღინიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით ლესია უკრაინკას სახელობის სურამის მუზეუმს საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, იგორ

დოლგოვი საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად ეწვია. საპატიო სტუმრებს დახვდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ხაშურის მაჟორიტრი დეპუტატი სიმონ ნოზაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს, პარლამენტის წევრის ბიუროს და საზოგადოების წარმომადგენლები.

სტუმრებმა და მასპინძლებმა პატივი მიაგეს უკრაინელი პოეტი ქალის ხსოვნას და მისი ძეგლი გვირგვინებით შეამკეს. მათ ლესია უკრაინკას მუზეუმიც დაათვალიერეს და ლესია უკრაინკას სახელობის სურამის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებს მოუსმინეს, რომლებმაც ლესია უკრაინკას შემოქმედება ქართულ და უკრაინულ ენებზე წარმოადგინეს.

- იუბილე -

80 - ლევან გვაზავა - 80

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, პროფესორი, სატყეო დარგის მდგრადი განვითარების თვასაჩინო სპეციალისტი, ხაშურის საპატიო მოქალაქე, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ლევან გვაზავა 4 მარტს 80 წლის გახდა. ქვიშხეთიდან დაწყებული მისი გზა, რომელიც დაუღალავ შრომაზე იყო დაფუძნებული, იმ მწვერვალამდე მივიდა, რომელსაც უმაღლესი დონის მეცნიერება ჰქვია. მისი ნაშრომები, ძირითადად, ეძღვნება საქართველოს დაბალპროდუქტიული ტყეების რეკონსტრუქციის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ საფუძვლებს და ამ კუთხით იგი საქართველოში უმაღლესი ავტორიტეტია. საოცარია ის სიყვარული, რომელსაც იგი მუდამ გამოხატავდა მშობლიური მუნიციპალიტეტის მიმართ. მუნიციპალიტეტმაც დაუფასა დიდი ღვაწლი და გასულ წელს მის ტიტულებს ხაშურის საპატიო მოქალაქის სახელიც შეემატა.

გულწრფელად ვულოცავთ ბატონ ლევანს ამ იუბილეს და გვჯერა, იგი კიდევ დიდხანს შესძლებს თავისი სამეცნიერო-შეოქმედებითი მუშაობა ქვეყნის თუ მშობლიური მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ გააგრძელოს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

„გამოიწერეთ და იკითხეთ „ხაშურის მოამბე“

სოციალური ქსელები, როგორც ტექნოკრატიული ეპოქის ადამიანის მდგომარეობა

XXI საუკუნის ადამიანისათვის, სრულიად წარმოუდგენელია „ვირტუალური სივრცის" გარეშე არსებობა. დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური წყობიდან გამომდინარე, ყოველ ადამიანს რუტინული და ერთფეროვან გარემოში უწევს ცხოვრება, ხოლო სოციალურ ქსელებზე მიჯაჭვულობის გამო, კიდევ მეტ მონოტონურობასა და ინერტულობას განვიცდით, ფაქტობრივად, გაუთვითცნობიერებულად, ვინაიდან, ყოველდღიური, ყოველსაათობრივი, და ყოველწამიერი კონტაქტი ვირტუალობასთან, ცალკეული ადამიანებს, ან ადამიანთა კოლოსალურ რაოდენობას. რეალობას წყვეტს, ცოცხალ სივრცეში კომუნიკაციის

უნარს უქვეითებს და გულგრილ, უემოციო პიროვნებებად აყალიბებს. სოციალურ ქსელში მიღებული ემოციური თანაგრძნობა (ხშირად) იმდაგვარად, ეფემერული და ალუზიურია, როგროც ,,ვირტუალობის" ეტიმოლოგია.

რასაკვირველია, ინტერნეტ-დაქვემდებარებას დადებითი მხარეებიც გააჩნია, მაგალითად: ეკონომიკაში, სპორტში, პოლიტიკაში, მედიცინაში, კულტურაში მიმდინარე სიახლეებზე მწირი თუ ფართო ინფორმაციული წვდომა...

თუმცაღა, როდესაც ერთ კონკრეტულ წერტილზე გადაჭარბებული დოზით ვკონკრეტდებით, ამ შემთხვევაში „სოციალურ ქსელზე", რომელიც (ძალზე ხშირად) „დროის უქმად გაყვანის" პერმანენტული წყაროა, გონებრივ, ფიზიკურ სტატიკურობასა და რეალობისადმი ინდიფერენტულობას განვიცდით?

ტექნიკური პროგრესის თემატიკას კარგად განიხილავენ XXსაუკუნის იტალიელი ნეორიალისტური კინორეჟისორები. მაგალითისათვის მოვიყვან მიქელანჯელო ანტონიონის „ზაბრისკი პონტის"(1970წ) სადაც, ახალგაზრდების, კონკრეტულად კი, სტუდენტური სეგმენტის წინააღმდეგობა და შეურიგებლობა, გამოხატული თავიანთ თანამედროვეობაში შექმნილი ფსევდო პარადიგმებსა და უაზრო ტექნიკურ-მატერიალისტური პროგრესთან მიმართებით, ვინაიდან ანტონიონისათვის მიურებელია, რაიმე სახის, სრულიად „პირობითი" განვითარება, თუკი ის, ადამიანების ურთიერთობაში, ზედაპირულობასა და გულგრილობას იწვევს, მათ კავშირს კი მშრალსა და მექანიკურს ხდის.

მსოფლიო კინოსა და თეატრის ერთ-ერთი რესპექტაბელური რეჟისორი, ლუკინო ვისკონტი, გერმანული ტრილოგიის ერთ-ერთ ფილმში „ლუდვიგი", სადაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ვითარებაა აღწერილი , თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მერკანტილური ცხოვრებისა და მექანიკური სილამაზის მოტრფიალე მონარქის თვითდესტრუქციას. რეალობისგან და ცოცხალი ხელოვნებისგან განდგომას, „ირეალურ" სამყაროში გადახვეწას!

არაჩვეულებრვმა რეჟისორმა ვისკონტიმ, კონკრეტული პირვნების ტრაგედია განაზოგადა და გლობალურ პლანში წარმოგვიდგინა, ლუდვიგის ტრაგედია ერთი ადამიანის პრობლემა არაა, ყველას პრობლემაა. მარტოობის, უკონტაქტობის, სტატიკურობის, ინდეფერენტულობის, მექანიკურობის, მიჯაჭვულობის ტრადიციას, სხვადასხვა ეპოქაში არაერთგვაროვანი მიზეზები განაპირობებს, მაგრამ „პრობლემა" კვლავინდებურად ერთი რჩება.

ანი ცხვედაძე,
თეატრის კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმში, სასოფლო-სამეურნეო კო-

ოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://www.acda.gov.ge 21 მარტამდე გაგრძელდება.

პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოოპერატივს 100 ტონა ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა გადაეცემა, ხოლო კოოპერატივმა - საწარმოს შენობა-ნაგებობის მოწყობა უნდა უზრუნველყოს.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილი პირობებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ან/და მის მეპაიეებს საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 20 ჰა ფართობი ვენახი, რომელშიც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, კახურიმწვანე, ხიხვი, ქისი, გორულიმწვანე, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, უსახელოური, მუჯურეთუული, წულუკიძისთეთრა (რაჭული).

სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ტექნიკურ დახმარებასაც, რომლის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ჩაუტარდებათ სწავლება როგორც ღვინის საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

პროგრამაში მონაწილე კოოპერატივის წევრებს საშუალება ეძლევათ სარგებელი ყურძნის რეალიზაციის გარდა, უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა საპილოტეა და მის ფარგლებში არანაკლებ 3 ერთეული საწარმოსთვის საჭირო აღჭურვილობა გაიცემა. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1 მილიონ ლარს.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია დაიწყო

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია 23 თებერვალიდან დაიწყო.

2017 წლის აბიტურიენტთა ცნობარის ბეჭდური ვერსია უკვე გამოიცა. „ცნობარი აბიტურიენტებისათვის" ბეჭდური ვერსიის შეძენა მსურველებს რეგიონებში, პრესის ჯიხურებსა და რეალიზაციის პუნქტებში შეუძლიათ. ცნობარში მოცემულია ყველა ის ინფორმაცია, რომლითაც აბიტურიენტმა არჩევნის გაკეთებისას უნდა იხელმძღვანელოს, კერძოდ, სიახლეები, რეგისტრაციის ინსტრუქცია, განმარტება გამოცდებისა და ფაკულტეტების მითითების შესახებ, ინფორმაცია საგამოცდო პროცესის შესახებ, შედეგების გამოქვეყნებისა და აპელაციის პროცედურა,



ჩარიცხვისა და გრანტირების წესი. ცნობარში ასევე არის ცხრილი, რომელშიც მოცემულია უმაღლესი სასწავლებლების მონაცემები გამოცდების, მინიჭებული კოეფიციენტების, დადგენილი კვოტების, სწავლის საფასურისა და სხვა დეტალების შესახებ.

რეგისტრაცია ორ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე აბიტურიენტებმა უნდა შეავსონ პირადი ინფორმაცია, საგამოცდო ქალაქი და თუ რა საგნებში აპირებენ გამოცდების ჩაბარებს. მეორე ეტაპზე კი, აბიტურიენტს შეუძლია გამოცდის შეცვლა, მაგალითად თუ ქიმია აქვს მითითებული, შეუძლია შეცვალოს ბიოლოგიით. ასევე შეცვალოს გამოცდის ენაც. აგვისტოს დასაწყისამდე, სააპელაციო განცხადებების მიღების დასრულებამდე, აბიტურიენტს შეუძლია შეცვალოს ფაკულტეტიც.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გეგმავს საინფორმაციო შეხვედრების გამართვას. რეგისტრაციის პირველი ეტაპის მიმდინარეობისას, რამდენიმე დღის განმავლობაში, აბიტურიენტებს, მათ მშობლებს, შესაძლებლობა ექნებათ მათთვის ხელსაყრელ დროს მობრძანდნენ და გაესაუბრონ საგნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებს, მიიღონ რჩევები რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით, ადგილზე ნახონ, თუ როგორი იქნება აბიტურიენტის სამუშაო ადგილი გამოცდაზე და ა. შ. ასევე შეძლებენ, მიიღონ დეტალური ინფორმაცია სხვა პროექტების, სერვისების შესახებ.

2016 წელს გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდა. ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებდა. ახალი ფორმატის დანერგვის შედეგად, მონაწილე დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე ხედავს, პასუხებს კი, ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე ნიშნავს ან წერს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გეგმავს, გრძელვადიან პერსპექტივაში, გამოცდის ელექტრონული ფორმატის სრულად დანერგვას.

წარმატებებს ვუსურვებ ჩვენი რაიონის აბიტურიენტებს, ვიმედოვნებთ, ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მათ მომავალში სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებათ.

თ. ახალკაცი

სამოქალაქო განათლების პროგრამაში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები წარმატებებს აღწევენ

ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსწავლეები აქტიურად და წარმატებულად არიან ჩართულნი „მომავლის თაობის" სამოქალაქო განათლების პროგრამაში. მორიგი შეხვედრა კი ქ. გორში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა, სადაც, სხვადასხვა რეგიონების მოსწავლეებთან ერთად, ჩვენი რაიონის ორი სკოლის, სოფელ ხცისის ივანე ხრიკულის სახელობის და დაბა სურამის №2 სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

ხცისის სკოლის მოსწავლეებმა წარადგინეს შემდეგი პროექტი: „ჩვენც დავბერდებით". პრეზენტაცია გააკეთეს მე-10 კლასისი მოსწავლეებმა ხვიჩა ზურებცოვმა და გურამ ციციქიშვილმა. ნინო ღულაძე, სამოქალაქო განათლების პედაგოგი: „ბიჭებმა ძალიან იყოჩაღეს და შესანიშნავად წარმოაჩინეს ჩვენი სკოლა. სტუმრებმა ყურადღებით დაათვალიერეს ჩვენი სკოლის საპრეზენტაციო დაფა, მოისმინეს პრეზენტაციები, დასვეს კითხვები, რომლებზედაც ხვიჩამ და გურამმა საინტერესო და დამაჯერებელი პასუხები გასცეს. ჩვენმა ნამუშევრებმა საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მოგვიანებით, ამჯერად კი საკლასო პროექტის ფარგლებში, ამავე სკოლის მე-9 და მე-10 კლასისი მოსწავლეები ეწვივნენ სოფელ ხცისის რამდენიმე ხანდაზმულს და შეგროვილი სურსათი მიუტანეს, კომუნიკაციის მოკლებულ მოხუცებს სხვადასხვა თემებზე ესაუბრნენ.

არანაკლებ საინტერესო პრეზენტაცია გამართეს სურამის №2 სკოლის მოსწავლეებმა თეკლა ლომიძემ, ლიკა ხარაზიშვილმა, ნინო მურადაშვილმა, ბაჩო ტეფნაძემ და ზაურ ცერცვაძემ, რომლებმაც საპრეზენტაციო თემებად გარემოს დაცვა, ძალადობა და ბავშვთა უფლებები აირჩიეს.

აღნიშნულ პრეზენტაციებს ესწრებოდნენ როგორც ქართველი ასევე უცხოელი სტუმრები: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დირექტორი დუგლას ბოლი, ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების საქმეთა ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი სიუზან კუტორი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიის, მმართველობის და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორი მარინა უშვერიძე, „მომავლის თაობის" დირექტორი ბერდია ნაცვლიშვილი.

„USAID" სიამოვნებით უჭერს მხარს სამოქალაქო განათლების პროგრამას, რადგან დღევანდელი ახალგაზრდობა ხვალინდელი საქართველოს ლიდერები არიან" – განაცხადა – დუგლას ბოლმა.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ხვალინდელი დღე

რა უნდა გავაკეთოთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა დაიწყოს? როგორ უნდა მოვახერხოთ ეს? როგორია გზები, რომელიც საბოლოო დადებით შედეგამდე მიგვიყვანს? ამ და მსგავს კითხვებზე ბევრი მოსაზრება არსებობს. დღევანდელ ნომერში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლაშა მესხის ხედვას გთავაზობთ. ვფიქრობთ, ბატონი ლაშას მოსაზებები, ამ თემასთან დაკავშირებით, საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარება უნდა დაეფუძნოს არსებული რესურსების მაქსიმალურ და ეფექტიან გამოყენებას. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი მოტივაციის შექმნა, საუკეთესო საშუალებაა ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. განვითარება უნდა დაეფუძნოს სამ მიმართულებას:

1. ეკონომიკური განვითარების კუთხით, ყურადღება უნდა მიექცეს მუნიციპალიტეტის საკურორტო ადგილების პოპულარიზაციასა და უნდა მოხდეს მათი ინფრასტრუქტურის განვითარების წახალისებისთვის შესაბამისი აქტივობების განხორციელება. მნიშვნელოვანია ე.წ. „ჭერათხეულას ხეობის", როგორც ძლიერი სოფლის მეურნეობის ცენტრის (სამაცივრე მეურნეობითურთ), ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა და საკანონმდებლო რეგულაციების დადგენა. მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს შესაბამისი საგზაო თუ სხვა სახის კომუნიკაციებისთვის (სასმელი წყალი, კანალიზაცია, ელექტრომომარაგების გაუმჯობესება, სარწყავი სისტემების აღდგენა-მოწყობა). ეკონომიკური განვითარების კუთხით, მნიშვნელოვანია ორგანიზება გაეწიოს ჩვენს მუნიციპალიტეტში ტკბილეულისა (მაგ: საკონდიტრო ნაწარმის, მურაბების, ტკბილი ჩირებისა თუ ტყლაპის) და ხელნაკეთი ნივთების ფესტივალების ჩატარებას. საწყის ეტაპზე არსებული სიძნელეები არ უნდა იქცეს დაბრკოლებად სხვადასხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ოჯახში შესული დამატებითი ლარი ამ ფესტივალების გამართლების საუკეთესო არგუმენტი იქნება. ხაშურის საკრებულოს 2015 წლის დადგენილების „კურორტებისა და საკურორტო ადგილების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა შესრულება ერთ-ერთი ინსტრუმენტია ამ კუთხით.

2. მეორე სფერო, რომელშიც ინვესტირება ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას შეუწყობს ხელს, პროფესიული სასწავლებლების ქსელის განვითარებას გულისხმობს. ხაშურის მუნიციპალიტეტი, თავისი ადგილმდებარეობისა და საგზაო თუ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის წყალობით, შესაძლებელია ვაქციოთ პროფესიული სასწავლებლების ძლიერ ცენტრად. შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების (სხვადასხვა სახის შეღავათები, დაფინანსების მიმართვა...) შემოღებით ხელს შევუწყობთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ამ კუთხით განვითარებას. არსებული ეკონომიკური ურთიერთობები ითხოვენ არა მხოლოდ მცოდნე იურისტსა თუ ეკონომისტს, ასევე მცოდნე მშენებელს, ელექტრიკოსს, შემდუღებელს თუ მლესავს. უნდა მოვახერხოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარება პროფესიული სწავლების ცენტრად, რაც ნიშნავს არა მხოლოდ ახალ სამუშაო ადგილს, არამედ ცნობად და განვითარებულ მუნიციპალიტეტს. შესაძლებელია მიწის ნაკვეთები თუ კონკრეტული შენობა-ნაგებობები სიმბოლურ ფასად, იმ პირობით გადაეცეს ინვესტორს, რომ იქ პროფესიულ სასწავლებელს მოაწყობს, მუნიციპალიტეტის როლი აქაც მნიშვნელოვანია და გამოიხატება განვითარებისთის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობაში. გარდა ხელშემწყობი გეოგრაფიული მდებარეობისა, გასათვალისწინებელია, ამ კუთხით, ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორია და გამოცდილებაც.

3. მესამე მნიშვნელოვანი მიმართულება ჩვენი მუნიციპალიტეტის მწვანე მუნიციპალიტეტად ქცევაა, "ხაშური–მწვანე მუნიციპალიტეტი" უნდა ვაქციოთ ბრენდად, სიმწვანე და საუკეთესო ეკოლოგიური მდგომარეობა ჩვენი სავიზიტო ბარათი უნდა იყოს. საკურორტო ადგილები თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ეკონომიკური ფაქტორი სრულად იქნება გამოყენებული თუ შევძლებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მწვანე მუნიციპალიტეტად ქცევას. შესაბამისი ნორმატიული აქტები (ბიზნესმენების წახალისება, შექმნან და იზრუნონ მწვანე სივრცეებზე, ნარჩენების მართვის ევროპული გამოცდილების გაზიარება, სამშენებლო ნორმების ცვლილებები მათი „გამწვანება"), გარემოს დაბინძურების პრევენცია....), შესაბამისი ინვესტიციები და მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ხაშურის მწვანე მუნიციპალიტეტად ქცევას. სუფთა გარემო, წყალი, ჰაერი თუ ნიადაგი უნდა ვაქციოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ცნობადობის გაზრდის ქვაკუთხედად, ეს მნიშვნელოვანია არამხოლოდ ჩვენი დღევანდელი, არამედ ჩვენი შთამომავლობის ხვალინდელი უკეთესი ცხოვრებისთვის, კეთილდღეობა სუფთა საცხოვრებელი გარემოს გარეშე წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

ის სამი მთავარი მიმართულება, რაზეც ვისაუბრე, ვფიქრობ, დაგვეხმარება ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. იმისთვის რომ დაახლოებით 7-10 წლის შემდეგ დავინახოთ პირველი ხელშესახები შედეგები, საჭიროა გავიაზროთ და მოვემზადოთ მიზანმიმართული ყოველდღიური შრომისთვის, მუნიციპალური ორგანოებისა და მაჟორიტარი დეპუტატის შეთანხმებული, ურთიერთთანხვედრი ქმედებების დაგეგმვა-განხორციელებისთვის. საჭიროა რამდენიმე აქტივობის განხორციელება:

1. მომზადდეს მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა, დოკუმენტი რომელიც საბოლოოდ დამტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ და მისი შესრულების მიმდინარეობა გაკონტროლდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანდათანობითი ორიენტირება კაპიტალური დანახარჯების გაზრდაზე, უნდა შემცირდეს სხვადასხვა სახის სუბსიდიები თუ დახმარებები.
3. უნდა ამოქმედდეს სხვადასხვა სახის წამახალისებელი პროგრამები და ხელი შეეწყოს მოსახლეობის ჩართულობას არამხოლოდ ამ პროგრამების დაგეგმვაში, არამედ განხორციელებაში,
4. აუცილებელია ქალაქ ხაშურისთვის დამტკიცდეს განვითარების გენერალური გეგმა, რათა შესაძლებელი იყოს უკეთ იმართოს ქალაქის ინფრაქტრუქტურა და დაიგეგმოს მისი შემდგომი განვითარებისთის საჭირო მიმართულებები.

ახლადწარმოქმნილ სიტყვა-თა კორიანტელი და ძველთა მივიწყების ტენდენცია

ადამიანთა მოდგმის განვითარების გზაზე ახალ-ახალ სიტყვათა წარმოქმნაც და მოძველებულთა გაქრობაც კანონზომიერია, მაგრამ გადაჭარბებულად მეჩვენება XIX-XX საუკუნეებში ისეთ სიტყვათა მომრავლება, რომელთა ბოლოსართია „იზმი“, „ტია“, „ცია“ და ა.შ.

დაახლოებით, ამ საუკუნეებში წარმოიშვა: მარქსიზმი, ლენინიზმი, კომუნიზმი, ბოლშევიზმი, მენშევიზმი, სოციალიზმი, ტროცკიზმი, ანტისოვეტიზმი, ოპორტუნიზმი, ვოლუნტარიზმი, სუბიექტივიზმი, ინტერნაციონალიზმი და ა.შ.

„იზმებიდან“ შედარებით ძველია სიტყვები: ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, კოლონიალიზმი, იმპერიალიზმი, პარლამენტარიზმი, რასიზმი, ანტაგონიზმი, ტოტალიტარიზმი და ა.შ.

„ტია“-დან გამძლე გამოდგა ძველი სიტყვები: დემოკრატია (ათასნაირი), პარტია, ბიუროკრატია, არისტოკრატია და ა.შ.

არ აწყობთ და ამიტომაც არ ხმარობენ ისეთ სიტყვას, როგორიცაა პლუტოკრატია, ანუ მდიდართა ხელისუფლება-ფულის ბატონობა, ასევეა სიტყვა მერიტოკრატია, რომელიც ამართლებს სოციალურ უთანასწორობას ელიტასა და მასებს შორის.

რაც შეეხება „ცია“-ს, მოქალაქეთა კრებებს და მსჯელობებს დაერქვა კონფერენცია, აქცია, დემონსტრაცია, პრესკონფერენცია და ა.შ. ხოლო მათ მიზნობრივ გაერთიანებებს: ასოციაცია, ორგანიზაცია, კოოპერაცია, კოლექტივიზაცია და ა.შ.

გაერთიანებულ ჯგუფში განსხვავებული აზრის მქონეთ დაერქვა ოპოზიცია, ფრაქცია, მიღებულ დადგენილებებს კი დეკლარაცია, პეტიცია, რეზოლუცია, ინსტრუქცია და ა.შ. სახელმწიფო სუბიექტების ურთიერთობებს ეწოდა ფედერაცია, კონფედერაცია და ა.შ. ხოლო მოქალაქეთა საცხოვრისის გადაადგილებას, რომელსაც ხშირად იძულების ელფერი აქვს, უწოდეს ემიგრაცია, მიგრაცია, დეპორტაცია, ევაკუაცია და ა.შ.

„იზმების“, „ტიების, „ციების“ და მისთანანის წარმოქმნა-გაქრობა მომავალშიც გაგრძელდება. სხვაგვარი დაბოლოების უცხო სიტყვების შესახებ მომავალში ვისაუბროთ.

ალბათ გახსოვთ, რომ მ. გორბაჩოვმა ერთხელ ტრიბუნიდან ახსენა სიტყვა „პლურალიზმი“ და ამ სიტყვის ფრქვევით ენას იტეხდნენ მლიქვნელი მაღალჩინოსნები, რომელთა უმრავლესობას შეიძლება წარმოდგენაც არ ჰქონდა მის შინაარსზე.

გულახდილად გითხრათ, დიდად არ მადარდებს ახალ-ახალი სიტყვათა ბრახა-ბრუხი, რადგანაც ჩემს უმდიდრეს მშობლიურ ენაში არსებობს ყველანაირი სიტყვა, რომლითაც შეიძლება გამოხატო ნებისმიერი აზრი, მაგ. პროსტიტუციას ქართულად მრავალნაირი სახელი ჰქვია.

მე მაწუხებს იმ სიტყვების თანდათან გაქრობა, რომელიც ჩემს ბავშვობასთან არის დაკავშირებული.

ცხოვრებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გამო გაქრა ისეთი საბავშვო თამაშობანი, როგორიცაა: წრელახტი, ღორაობა, მრგვალი ჯორი, გრძელი ჯორი, კენჭაობა, ბირკაობა, ამის პატრონმა რა ქნას, გატეხილი ტელეფონი, მურიაობა, კენწლაობა, ჩემო ოქრო ჩემთან მოდი და სხვა. ბავშვები იშვიათად თამაშობენ დახუჭობანას, კლასობანას, ვის რაში ჭირდება საქონლის ბეწვისგან დამზადებული ბურთი, ბანქო, ხომ წაგება-მოგების ინსტრუმენტად აქციეს.

ბავშვებს წარმოდგენა აღარ აქვთ კვეს-აბედზე, მარცვლეულის გამოსაფშვნელ კევრზე, მარხილზე, აქა-იქა თუ არის შემორჩენილი ნახშირის უთო, ნავთქურა, როდინი და როდინის ქვა, იშვიათად თუ ვინმე ხმარობს საჩეჩელს, თითისტარს, კვირისტავს, თიხის კეცსა და ქოთანს. სადღა არიან მენახშირეები, მეველეები, ფოსტალიონები, ქვაბების მკალავები, მეწვრილმანეები, სადღა შეხვდებით ოქტომბრელებს, პიონერებს, კომკავშირელებს, წითელარმიელებს. სადღა შეხვდებით მელნით დათხუპნულ მოსწავლეებს, თვითნაკეთ ჯოხზე წამოცმულ საწერ-კალამს, რეზინისძირიან ტილოს წუღებს და ქალამანჩაცმულ მამაკაცებს.

ბებოს კალთა ხომ ბაგა-ბაღებმა შეცვალეს.

ახალ თაობათა გალაღებული ბავშვობა მამა-პაპათა სისხლით და ოფლით არის მოპოვებული.

ამავე დროს, უსაზღვროა ქართველ მეცნიერთა ღვაწლი მსოფლიოში მეცნიერების ნებისმიერი დარგის განვითარებაში.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი გენიოსი მეცნიერი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მათი დამსახურების შესახებ დღესაც არ იცის მისმა სამშობლომ.

ქართველ მეცნიერთა ინტელექტუალურ პოტენციალს საზღვარგარეთის ქვეყნები წარმატებით იყენებენ, საკუთარ სამშობლოში კი გზების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროელექტროსადგურების და საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას მოწვეული სპეციალისტები აწარმოებენ.

ეს აზრი ოპოზიციურობაში არავინ ჩამითვალოს. მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, დაინტერესებული ვარ ჩემი თანამოქალაქეთა შესაძლებლობების გამოყენებით.

ვსარგებლობ კონსტიტუციური უფლებით და მივმართავ ქვეყნის ხელმძღვანელობას: ნაკლებად იარეთ უცხოელთა თითით მინიშნებული გზის მიმართულებით. ნებისმიერ საქმეში გაითვალისწინეთ და წინ დააყენეთ ქართული ტრადიციები და გამოცდილებანი. შეეშვით ბუტიაობას, გაითვალისწინეთ ერთიმეორის აზრი და მიიღეთ საუკეთესო გადაწყვეტილებანი. ნურც თქვენ იკადრებთ და ნურც სხვას მისცემთ იმის საბაბს, რომ დასმენებისათვის ირბინონ უცხო ქვეყნების საელჩოებში, გაითვალისწინეთ, რომ პოლიტიკურად ასეთ აჭრელებულ საზოგადოებაში ბევრი გყავთ აშკარა თუ შენიღბული მტერი. ახლა ქვეყნის შიგა თუ გარე უსაფრთხოების ასაცილებლად ცხრა კი არა, ასი თვალიც აღარ არის საკმარისი. ხომ ხედავთ, როგორ ცდილობენ ავისმოსურნენი, რომ შეასუსტონ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ ოპერატიული მუშაობის განხორციელების შესაძლებლობანი.

გაუფრთხილდით ქართულ ენას და ნუ დანერგავთ ხმარებაში გაუგებარ სიტყვებს, რომლებიც ვერაფრით შეედრებიან მშობლიურს. ადრე უცხო სიტყვათა შემოჭრას „ბარბარიზმს“ ვუწოდებდით, ახლა კი ზოგიერთებს ევროპისაკენ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნიათ იგი.

დედაჩემი და ბებიაჩემი ალბათ, ვერ გაიგებდნენ და დაიბნეოდნენ მათთვის რომ მეთქვა, ტრენინგზე მივდივარ, მერე ტენდერში უნდა მივიღო მონაწილეობა და თუ გენდერული წონასწორობა არ დაირღვა, შეიძლება გავიმარჯვოო, მერე თუ იმასაც დავაყოლებდი, რომ თქვენ ელექტრორატი ხართო, ეგონებოდათ სალანძღავი სიტყვებით მივმართავდი. სხვას რომ ეკითხა, შთამომავლობაში რამდენი დიჯეი და თინეიჯერი გყავთო, ალბათ უპასუხებდნენ: უცხო ენა არ ვიცითო და მართალიც იქნებოდნენ, მზეჭაბუკის ძეგლის აღმმართველ თაობას აზრად როგორ მოუვა დიჯეის და თინეიჯერის ნიშნობა-ქორწინება?

თემიდან ამოვარდნილი საკითხია, მაგრამ რაღამც გენდერი ვახსენე, აქვე ვიტყვი, რომ ქართველ ქალბატონებს გენდერულ საკითხებში არც ისე საწუწუნოდ აქვთ საქმე, როგორც წარმოგვიდგენენ.

უახლოეს წარსულში მინისტრის თანამდებობები ეკავათ ქალბატონებს ვ. ქობალიას, ხ, კალმახელიძეს, მ. ფანჯიკიძეს, თ ბერუჩაშვილს, ხ. გოგალაძეს, თ. სანიკიძეს, თ. ხიდაშელს და თ წულუკიანს.

დღეისათვის მინისტრის თანამდებობანი უკავიათ ქალბატონ თ. წულუკიანს, ქ. ციხელაშვილს, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეა ქალბატონი ნ. გვენეტაძე, ცსკო-ს ხელმძვანელობს ქალბატონი თ. ჟვანია, პარლამენტის ვიცესპიკერები არიან ქალბატონები თ. ჩუგოშვილი და ი. ინაშვილი, პარლამენტის წამყვან კომიტეტებს ხელმძღვანელობენ ქალბატონები ე. ბესელია, ს. ქაცარავა, ს. კილაძე, მ. ჯაში და სხვა.

რაც შეეხება პარლამენტის შემადგენლობაში მყოფ ქალ დეპუტატთა რაოდენობას, ეს ამომრჩეველთა ნებაზეა დამოკიდებული და არა ვიღაც-ვიღაც ენაწალესილების სურვილზე, რომელთა მოსაწონს ხელისუფლება ვერაფერს მოიფიქრებს და გააკეთებს. ამ ჩასაფრებულ, უსირცხვილო და უპასუხისმგებლო, გრანტიჭამია ადამიანთა ხმა ყურიდან ყურში უმტკივნეულოდ უნდა გაუშვა, რადგანაც ხელისუფლების ტკივილი მათზე დამამშვიდებელ მალამოსავით მოქმედებს.

ამ წერილის დაწერა ჩემი სოფლის დღევანდელმა მდგომარეობამაც გადამაწყვეტინა.

საქმე იმაშია, რომ სოფელი დაამშვენა 1960-1980-იან წლებში აშენებულმა ორსართულიანმა კაპიტალურმა საცხოვრებელმა სახლებმა, რომლებმაც შეცვალეს ხის მიწურები. სოფელი განვითარდა, გალამაზდა, გაუმჯობესდა გზების, ელექტროგანათების, წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის, საბანკო, საპენსიო, სანიტარული და სატრანსპორტო მომსახურების მდგომარეობა, მაცხოვრებელთა მრავალ ეზოში დგას სხვადასხვა მარკის კერძო ავტომობილები და სასოფლო-სამეურნო დანიშნულების ტექნიკური საშუალებები. ბავშვები სახელმწიფოს ხარჯზე ტრანსპორტით დადიან სკოლებსა და ბაღებში, მაგრამ სოფელმა დაკარგა ძველებური სოფლის იერსახე.

დღეისათვის, სოფელში აღარ ჰყავთ არცერთი სული თხა, ცხვარი და კამეჩი. აღარ არსებობს არცერთი უღელი ხარი, ურემი, კავი, ფარცხი, კევრი და სხვა მისთანანი.

უკანასკნელი ხარურემი გასულ წლამდე ჰყავდა ჟორა ნოზაძეს, ამჟამად მხოლოდ ვიგენტი გიგაშვილს შემორჩა ცალუღელა ურემი და ერთი ხარი. ბევრიც რომ მოინდომო, ხარ-ურემზე ბავშვებს სურათსაც კი ვეღარ გადაუღებ.

კარგია ეს თუ ცუდი?

რა თქმა უნდა, კარგია, როცა სოფელში მრავლად არის გადაადგილების, ტვირთგადაზიდვის და სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის ტექნიკა, მაგრამ სოფელს მაინც თავისებურ ხიბლს აძლევს მრავალი სახეობის ცხოველ-ფრინველის არსებობა.

ხშირად სვამენ კითხვას, სოფელში ცხოვრება ჯობია თუ ქალაქში? მე ასეთი პასუხი მაქვს: სტუმრად ყოფნა, სადაც გემსახურებიან, ყველგან კარგია. თუ სოფელში ცხოვრება სჯობდა, რა გაუჭირდა ედუარდ შევარდნაძეს ისეთი, რომ მშობლიურ სოფელ მამათამდე ვერ ჩავიდა და ერთოთახიანი ფიცრული სახლი ვერ ააშენა? რატომ იზრდება თბილისი სოფლებიდან ჩასულ-დასახლებული ახალგაზრდების ხარჯზე?

ახლა დავუბრუნდეთ მტკივნეულ საკითხს, თუ როგორ გვადნება ხელში არც თუ ისე ძველი სიტყვები და ნივთების დასახელებანი.

იმის გათვალისწინებით, რომ ცოტა ხანში შეიძლება ურემი სამუზეუმო ექსპონატად იქცეს, გადავწყვიტე შეძლებისდაგვარად დამესახელებინა მისი ნაწილები.

გამოგიტყდებით, რომ ეს ჟორა ნოზაძის, ვიგენტი და კონსტანტინე გიგაშვილების დახმარების გარეშე ვერ შევძელი.

ვინმე ჩაიქირქილებს, რა დროს ურმის შესახებ ლაპარაკია, როცა მეცნიერება სიზმრისებრ სასწაულებს ახდენსო.

ბორბლის გამოგონებიდან კოსმოსური თანამგზავრების შექმნამდე განვითარებად პერიოდში ბევრი ახალის იტყვა და ტერმინოლოგია წარმოიქმნა და გაქრა. ურემმა საუკუნეებს გაუძლო და ვიდრე სრულიად გაქრება მისი მოხმარების აუცილებლობა, მინდა ახალგაზრდებს შევახსენო მისი ნაწილების დასახელებანი, ესენია: **უღელი, ტაბიკი, თავტაბიკი, აპეური, საქედური, ბორბალი, ღერძი, ხუნდი, სოლი, ფესვი, სალტა, ხელნა (ძირითადი ჩარჩო), ხელნის ყბა, ჭალი, ზეწარი, კოფო, საწურავი, იატაკი, ლაშკინი, კვერნა, ტლოკანი, საპნის კათხა, შესაპოხი ჯაგრისი, ჩელტები (დროებითი ხმარებისათვის).**

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს განსხვავებული ფორმის ურმები. მაგალითად, მთიან მხარეებში ე.წ. აჩაჩა და ა.შ. ამის გამო, შესაძლებელია ურემს გააჩნდეს ზემოთჩამოთვლილის გარდა სხვა ნაწილებიც და თუ ჩამონათვალს ვინმე შეავსებს, მადლობელი და კმაყოფილი ვიქნები.

ცალკეული ნაწილების და მათი ფუნქციების აღწერა შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობ, დეტალების დასახელებების ცოდნა ბევრისთვის საინტერესო იქნება თუნდაც იმიტომ, რომ ტექნიკური ლიტერატურის თარგმანებში სრულიად შეუფერებელ ტერმინებს ვხვდებით. ასეთია, მაგალითად სასროლ იარაღებში არსებული ნაწილი „ჩურჩულა“, რომლის ფუნქციას საერთო არაფერი აქვს არც „ჩურჩულთან“ და არც ხმაურთან, იგი რუსული „შეპტალო“-დან ითარგმნა.

ნუ დავანაგვიანებთ ქართულ მეტყველებას, განა ქართულ ენაში არ მოგვეპოვება ისეთი გამონათქვამები, რომ თუნდაც ორი სიტყვით გამოვხატოთ ნებისმიერი აზრი, რაც ჩაქსოვილია ისეთ „იზმებ“-სა და „ციებ“-ში, როგორიცაა: შოვინიზმი, კარიერიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ნიჰილიზმი, დოგმატიზმი, ლობიზმი, ანარქიზმი, ანტისემიტიზმი, ოპტიმიზმი, ჰუმანიზმი, რეფორმიზმი და ა.შ. ანდა აგლომერაცია, ადაპტაცია, დევალვაცია, დეზინფორმაცია, დესტაბილიზაცია, დისკრიმინაცია, ინვესტიცია, კონკურენცია, კორუფცია, მოდერნიზაცია, პრივატიზაცია, რესტავრაცია, ფალსიფიკაცია, ინტერპრეტაცია, ინაუგურაცია, რეპუტაცია და ა.შ.

საჭიროა წინ აღვუდგეთ ქართულ ენაში უცხო სიტყვათა შემოჭრის კორიანტელს, რომელიც შთამომავლობას ავიწყებს მშობლიურს და მამა-პაპურს.

თქვენ რას იტყვით, თანამემამულენო?

რევაზ გრიგალაშვილი

სურამის მე-4 საჯარო სკოლის ეკო-კლუბი - გარემოს დაცვის სამინისტროს რჩეული

2016 წლის მაისში არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-მა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში გამოაცხადა კონკურსი, ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის მოსაპოვებლად.

ინფორმაციის მიღებისთანავე, სურამის მე-4 საჯარო სკოლაში შეიქმნა ეკო კლუბი „მწვანე მომავალი“ და ამავე სახელწოდების გვერდი სოციალურ ქსელში. კონკურსში ჩართვის პირველივე დღიდან კლუბმა უამრავი გარემოს დაცვითი აქტივობა განახორციელა. კლუბის საქმიანობის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე დასუფთავების აქცია , კერძოდ დასუფთავდა: სკოლის მიმდებარე ტერიტორია, ზინდისის ტყე-პარკი, ყოფილი ბავშვთა სახლის ტერიტორია ე.წ. „დიმიტროვი“, „ლაგერის“ ტყე, სკვერი და სტადიონი სოფელ ბუღაურაში, სურამის ციხე. სურამის ციხის დასუფთავების აქციას დაესწრნენ CENN-ის წარმომადგენლები, რომლებმაც შემდგომ სიუჟეტი მოამზადეს ბავშვების საქმიანობის შესახებ. ბავშვებმა ჩაატარეს კვლევები ისეთ საკითხებზე როგორიცაა მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფა, სურამში არსებული სამკურნალო წყლები,წითელ წიგნში შეტანილი მცენარეების გავრცელება ჩვენს ირგვლივ სურამის ტურისტულ-რეკრეაციული შესაძლებლობები. დაამზადეს „მწვანე ყუთები“ მაკულატურისთვის, სწავლობდნენ მეორადი ნივთებისგან ახალი დანიშნულების ნივთების შექმნას, რთავდნენ გამოყენებულ პოლიეთილენის პარკებს და ქსოვდნენ სასაჩუქრე ჩანთებს, საახალწლოდ პლასტმასის ჩხირებისგან დაამზადეს ნაძვის ხე, შექმნეს „მწვანე ჩარჩო“, საახალწლო კამპანია „არ მოჭრა-მორთეს“ ფარგლებში საკუთარი ხელით დამზადებული სათამაშოებით მორთეს სკოლის ეზოში მდებარე ნაძვი. გადაიღეს საახალწლო „მწვანე“ ვიდეო მილოცვა და გარემოს დაცვის სამინისტროს რჩეულები გახდნენ. გარდა ამისა მოსახლეობაში, ეკოლოგიური თვითშეგნების ასამაღლებლად, ატარებდნენ ტრენინგებსა და სემინარებს სხვადასხვა აქტუალურ გარემოსდაცვით საკითხებზე, არიგებდნენ საკუთარი ხელით დამზადებულ ბროშურებს,აკეთებდნენ კედლის გაზეთებს.

კონკურსის ფარგლებში გაეცნენ ნიკო კეცხოველის წიგნს „კიდევაც დაიზრდებიან“, გაიარეს წიგნში მოცემული მარშუტი, ინახულეს ქვეშის ციხე, ბოლნისის სიონი, დმანისის ნაქალაქარი, სულხან-საბას მშობლიურ კუთხე და შეისწავლეს არსებული ეკოსისტემები.

26 იანვარს, ეკოკლუბი მიწვეული იყო „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის“ მოსაპოვებლად გამართულ ნახევარფინალზე, სადაც წარადგინეს ეკო მიმართვა და შეაჯამეს საკუთარი საქმიანობა. კლუბის საქმიანობამ ჟიურის სიმპათიები დაიმსახურა და ფინალის საგზურიც მოიპოვა.

სურამის მე-4 საჯარო სკოლის ეკო-კლუბს საკუთარი, მუდმივად განახლებადი გვერდი გააჩნია, სადაც კლუბის წევრები საკუთარ მოპოვებულ ინფორმაციებს საზოგადოებას უზიარებენ.

როგორც კლუბის წევრები ამბობენ, ეკო-კლუბი აუცილებლად გააგრძელებს თავის „მწვანე“ საქმიანობას, განახორციელებს კიდევ ბევრ ინოვაციურ აქტივობას და კვლავ ეცდება თავისი მცირე წვლილი შეიტანოს საზოგადოების მწვანე აზროვნების გაღვივებაში.

„...საკუთრების უფლების აღიარების კომისია“ მზადაა მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი განცხადება განიხილოს

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია ხაშურის მუნიციპალიტეტს დაექვემდებარა, აღნიშნულ გადაწყვეტილებასა და კომისიის უფლება-მოვალეობებზე „ხაშურის მოამბე” ეკონომიკური განვითარების სამსახურის,მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების უფროსს და ასევე კომისიის თავჯდომარეს **ალექსანდრე ჩიქოვანს** ესაუბრა:

– საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის, №376 დადგენილების მიხედვით, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნა დაევალა მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა, ამ დრომდე, ამ კომისიის საქმიანობას, მუნიციპალიტეტის საკრებულო ახორციელებდა. 2016 წლის 5 აგვისტოდან კი, მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, შეიქმნა კომისია შემდეგი სახელწოდებით: „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია”.

- რამდენი წევრისგან შედგება კომისია და ძირითადად, რა მოვალეობები აკისრია?

– ამჟამად, კომისიაში 9 წევრი ვართ. მთლიანობაში კი კომისიის წევრთა რაოდენობა 11-ს არ უნდა აჭარბებდეს. კომისიის წევრები ადგილზე მიდიან, იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე განცხადებასთან დაკავშირებით, ეჭვის საფუძველი არსებობს. კომისიის წევრები გარკვეული შეკითხვებით მიმართავენ მფლობელის ნაკვეთის მოსაზღვრე მეზობელებს. უმეტესწილად,გვაინტერესებს განმცხადებელი რომელი წლიდან ფლობს აღნიშნულ ქონებას, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ მიწის დაკანონება შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს, 2007 წლამდე აქვს დაკავებული აღნიშნული ტერიტორია. აქვე დავამატებ, რომ ასე ვთქვათ, „ცარიელ” მიწის ნაკვეთებს ვერ ვაკანონებთ – ფლობას ვერ ვუდასტურებთ, თუ არ არის მასში რაიმე ნაგებობა აშენებული, ამ შემთხვევაში ვერ ვაკმაყოფილებთ მის განცხადებას, განმცხადებელს კი შეუძლია შემდეგ ინსტანციას – სასამართლოს მიმართოს. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ მოქალაქეს რაიმე ხელმოსაჭიდი საბუთი აქვს, შესაძლებელია თავად საჯარო რეესტრმაც, უპრობლემოდ, დაუკანონოს ქონება.

- მომართვიანობა რამდენად ხშირია?

– მას შემდეგ, რაც კომისია გამგეობის ადმინისტრაციულ ორგანოს დაექვემდებარა, სულ 273 განცხადება იქნა განსახილველად შემოსული. აქედან: 263 – საჯარო რეესტრიდან, 10 – ბიუროდან, ამ განცხადებებიდან კომისიამ 90-ზე თანხმობა გასცა, 100-ზე კი – უარი, 83 – განხილვის პროცესშია. აქვე გავმიჯნავ, რომ განცხადება, რომელიც შემოდის საჯარო რეესტრიდან, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში – არის უფასო, ხოლო, რაც შემოდის ბიუროდან – ფასიანია. თანხა შემდეგნაირად განისაზღვრება: სასოფლო მიწის ნაკვეთი, შედარებით იაფია – მეასედზე 7,90 ლარია გადასახდელი, არასასოფლო კი, შედარებით, ძვირი, მაგალითად, ფასები განსხვავდება იმის მიხედვით მიწის ნაკვეთი ქალაქის ცენტრალურ უბანშია თუ გარეუბანში. კომისიის გამგეობასთან დაქვემდებარების შემდგომ სულ 2250 ლარია შემოსული.

თ. ახალკაცი

გიორგი ნასყიდაშვილი საქართველოს ჩემპიონია

ამ დღეებში დასრულდა ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. 60კგ. კატეგორიაში ბრწყინვალედ იასპარეზა, ჩვენი მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის წარმომადგენელმა გიორგი ნასყიდაშვილმა (მწვრთნელი ბუხუტი ბუხრიკიძე), რომელმაც ყველა მეტოქე ჩამოიშორა და ოქროს მედალს დაეუფლა.

იგივე პერიოდში, ბულგარეთში, ახალგაზრდებს შორის, პეტკო სირაკოვისა და ივან ილიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, თავისუფალ ჭიდაობაში, თორნიკე კვინიკაძე(74კგ.)მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

70 - ნოვე ტაბატაძე - 70

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ნოვე ტაბატაძეს ვულოცავთ 70 წლის იუბილეს. მან მთელი თავისი ცხოვრება ღირსეულად განვლო და თავისი მოღვაწეობით ბევრს მისცა მაგალითი თუ როგორ უნდა ემსახურო მშობლიურ სოფელს და მშობლიურ მუნიციპალიტეტს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ბატონ ნოვეს და იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი მომავალშიც ასეთივე შემართებით გააგრძელებს მოღვაწეობას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

„ხაშურის მოამბის" რედაქციის თანამშრომლები ვუერთდებით მილოცვას და ამ ღირსეულ პიროვნებას, ჩვენი გაზეთის დიდ გულშემარკივარს, ყოველივე სიხარულს ვუსურვებთ.

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, ბატონო ნოვე!

გამოვიდა დიმიტრი ყიფიანის ათტომეულის პირველი ტომი

პროფესორმა თამაზ ჯოლოგუამ გამოსცა დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ათტომეულის პირველი ტომი, სადაც შესულია დიმიტრი ყიფიანის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, აგრეთვე, ზოგიერთი თარგმანი.

ამ დიდი მამულიშვილის ეროვნულ ღვაწლს საკმაოდ ადეკვატურად აფასებდა იმდროინდელი ქართული საზოგადოება, მაგრამ შემდგომში, საქართველოს ბოლშევიზაციის დროს, დიმიტრი ყიფიანის სახელი, მისი ღვაწლი ძალზე გაფერმკრთალებული სახით წარმოიდგინებოდა. საბჭოურ ეპოქაში ისტორიკოსთა გარკვეულმა ნაწილმა (გიორგი გოზალაშვილი, სიმონ ხუნდაძე, შალვა ჩხეტია, ფელიქს დანელია), ნაშრომები მიუძღვნეს დიმიტრი ყიფიანის ღვაწლსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.



1880-90-იან წლებში გამოვიდა იოსებ უთურაშვილის შესანიშნავი მონოგრაფია, რომელმაც გარკვეულწილად, შეავსო დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი და ამაგი სამშობლოსადმი.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გამოვიდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, თამაზ ჯოლოგუას ნაშრომი "საშვილიშვილო მოკავშირე", რომელიც ასევე, დიმიტრი ყიფიანის ღვაწლს ეძღვნება. მისივე თავდადებული და დიდი შრომის შედეგად იბეჭდება ათტომეული, რომელშიც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, სრულად და ამომწურავად წარმოჩნდება ის დიდი მამულიშვილური ღვაწლი დიმიტრი ყიფიანისა, რომელიც მან შეიტანა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებისა და საზოგადოებრივი აზრის ეროვნულ მიმართულებით წარმართვაში.

გივი გელაშვილი

„კლასგარეშე კინო" - კულტურის ცენტრების გაერთიანებამ ახალი პროექტი წამოიწყო

ხაშურის ა(ა)იპ „კულტურის ცენტრების გაერთიანებამ" ახალი პროექტი დაიწყო. „კლასგარეშე კინო" ასე ჰქვია ახალ პროექტს, რომელიც უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს სკოლის მოსწავლეებში და ბევრი საჯარო სკოლაც ჩაება მათ პროექტში. როგორც ჩვენთან საუბარში „კულტურის ცენტრების გაერთიანების" დირექტორმა გია ბოლოკაძემ აღნიშნა, პროექტის განხორციელება არცთუ დიდი ხანია რაც დაიწყო და უცებ მოიპოვა პოპულარობა. პროექტის სახელწოდებიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ეწყობა კინოსეანსი, მაგრამ მხოლოდ ფილმის ჩვენებით არ შემოვიფარგლებით. სეანსის ბოლოს იმართება დისკუსია. ფილმის განხილვაში აქტიურად მონაწილეობს ყველა ბავშვი. პედაგოგი მათთან ერთად არჩევს მთელ მასალას. ვსაუბრობთ ფილმის იდეაზე, გმირების ხასიათებზე და კეთდება ერთგვარი რეზიუმე. უნდა განახათ, როგორ აქტიურად მონაწილეობენ ბავშვები ფილმის განხილვაში. ვფიქრობთ, საინტერესო პროექტი გამოგვივიდა.

ბატონ გიას თოჯინების თეატრის შესახებაც დავუსვით კითხვები და, როგორც აღმოჩნდა, აქაც სიახლეებია: –ამჟამად თოჯინების თეატრს რეპერტუარში 25-მდე სპექტაკლი აქვს,–აღნიშნა მან. –დღეისთვის „ჭინჭრაქაზე" ვმუშაობთ და პრემიერაც ჩქარა იქნება. ასევე მარტში, პატარა მაყურებელს განახლებულ „ბურატინოს" წარვუდგენთ. აქტუალურად ვთანამშრომლობთ თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრთან. მათ, ზემოაღნიშნული სპექტაკლისთვის, საჩუქრად გადმოგვცეს თოჯინები, დეკორაციები, მუსიკალური გაფორმება. ვფიქრობთ, თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. გვაქვს ერთი სიახლეც: თოჯინების თეატრთან გაიხსნა სახელოსნო. თეატრის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის იყო, რომ აქამდე თოჯინების, თუ დეკორაციების დამზადება სხვადასხვა ქალაქში გვიხდებოდა და ეს შეკვეთები საკმაოდ ძვირი გვიჯდებოდა. ამიერიდან კი ადგილზე შეგვეძლება ამის მოგვარება. უახლოეს დღეებში თეატრს მოწვეული სპეციალისტი ესტუმრება, რომელიც ჩვენს თანამშრომლებს ადგილზე შეასწავლის ყველა ნიუანსს. ეს სიახლე თავისთავად ნიშნავს, რომ დაგვეზოგება თანხა და გამოთავისუფლებული რესურსით ახალი სპექტაკლების დადგმის წინა პირობა შეიქმნება...

ჩვენ წარმატებებს ვუსურვებთ ამ კოლექტივს და გვჯერა, ამ სიახლეებით მათი როლი მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში კიდევ უფრო გაიზრდება.

გ. მაღრაძე

შშმ პირების დასაქმების პროგრამის პრეზენტაცია

1 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტში, შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსმა თეა თედელურმა და მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა ირინა პეტროვამ და თათია ელიავშილმა სოციალური მომსახურების სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილების უფროს გოჩა ბარბაქაძესთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერითი დასაქმების პროგრამის პრეზენტაცია გამართეს. მხარდაჭერითი დასაქმების პროგრამა საქართველოში 2016 წლის აპრილიდან დაიწყო, ამჟამად მთელი საქართველოს მასშტაბით მხარდაჭერითი დასაქმების 10 კონსულტანტი მუშაობს და პროექტის ფარგლებში ნებისმიერ შშმ პირს, რომელსაც სურს დასაქმება, შეუძლია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებს მიმართოს.

შეხვედრას ესწრებოდნენ წარმომადგენლები მუნიციპალიტეტიდან, რესურსცენტრიდან, საჯარო სკოლებიდან და ასევე, სხვა დაინტერესებული პირები.

განცხადება

შევისყიდი კაკლის ხეს (მოსაჭრელი). ფასი შეთანხმდებით. T 551 16 19 84 იკითხეთ **დათო**.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი, ხაშურის საპატიო მოქალაქე

მერი ხარაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია იუწყება დამსახურებული პედაგოგის, ხაშურის საპატიო მოქალაქის **მერი ხარაბაძის** გარდაცვალებას და უსამძიმრებს ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.